ტელევიზორის საკიდი AC-TT2200

aceline

მომხმარებლის სახელმძღვანელო

ძვირფასო მომხმარებელო!

გმადლობთ, რომ აირჩიეთ ჩვენი პროდუქცია.

სასიამოვნოდ მიგვაჩნია შემოგთავაზოთ ნაწარმი და მოწყობილობები, რომლებიც შემუშავებული და დამზადებულია ხარისხის, ფუნქციონალურობისა და დიზაინის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ექსპლუატაციის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენი უსაფრთხოების შესახებ, ასევე რეკომენდაციები პროდუქტის სწორად გამოყენებისა და მოვლის თაობაზე. გთხოვთ, უზრუნველყოთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შენახვა და გამოიყენოთ იგი, როგორც საცნობარო მასალა, ნაწარმის შემდგომი ექსპლუატაციის დროს.


მოწყობილობის დანიშნულება

ტელევიზორის საკიდი — ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია ტელევიზორის კედელზე ან ჭერზე დასამაგრებლად.

უსაფრთხოების ზომები


- წინამდებარე საკიდი განკუთვნილია მხოლოდ შენობა-ნაგებობებში ექსპლუატაციისთვის.
- საკიდის მონტაჟის კომპლექტში შედის მცირე ზომის დეტალები, რომლებიც სასუნთქ გზებში მოხვედრისას წარმოადგენენ დახრჩობის საფრთხეს. ასეთი დეტალები აუცილებლად უნდა ინახებოდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
- მონტაჟისას გამოიყენეთ მხოლოდ კომპლექტში შემავალი ხრახნები. მოუჭირეთ ისინი მჭიდროდ, მაგრამ არ გადააჭარბოთ. გადაჭარბებულმა მოჭერამ შესაძლოა გამოიწვიოს ელემენტების დაზიანება.
- საკიდის აწყობამდე და მასზე ტელევიზორის დამონტაჟებამდე მიაქციეთ ყურადღება VESA სტანდარტებს, ეკრანის დიაგონალსა და ნაწარმის მაქსიმალურად დასაშვებ დატვირთვას. საკიდის გამოყენებამ ისეთ ტელევიზორებთან, რომელთა წონა აღემატება მითითებულ გათვლილ წონას, შესაძლოა გამოიწვიოს მათი არასტაბილური მდგომარეობა და დაცემა.
- ნაწარმის აწყობა და მონტაჟი უნდა განხორციელდეს განყოფილების „მონტაჟის ინსტრუქცია" შესაბამისად. არასწორმა აწყობამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანებები და ტრავმები.
- საკიდის მონტაჟისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალიზებული აღჭურვილობა: სახრახნისი, დრელი (არ შედის კომპლექტში). რეკომენდებულია ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება (არ შედის კომპლექტში). მონტაჟი უნდა განახორციელონ პროფესიონალებმა.
- საკიდი განკუთვნილია დასამონტაჟებლად ხის კარკასულ კედლებზე, მყარ ცემენტის კედლებზე ან აგურის კედლებზე.
- ნაწარმი არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ზედამხედველობას ახორციელებენ სხვა პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათ უსაფრთხოებაზე. არ მისცეთ ბავშვებს საშუალება, ითამაშონ მოწყობილობით.
- ნაწარმი არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

საერთო გაბარიტები




მონტაჟის ინსტრუქცია

სამონტაჟო კომპლექტი




საჭირო ხელსაწყოები
(არ შედის კომპლექტში):





მონტაჟი

დამონტაჟება ბეტონის კედელზე




დამონტაჟება ხის კარკასულ კედელზე






საკიდის დამაგრება ეკრანზე

შენიშვნა: შეარჩიეთ ხრახნები და საყელურები თქვენი ტელევიზორის უკანა პანელზე არსებული სახრახნისების ზომის შესაბამისად.



მაქს. VESA:
≤ 200 მმ



ტექნიკური მახასიათებლები

- მოდელი: AC-TT2200.
- სავაჭრო ნიშანი: Aceline.
- მაქსიმალური დატვირთვა: 15 კგ.
- ტელევიზორის ეკრანის დიაგონალი: 12–37″.
- მანძილი კედლიდან: 40–355 მმ.
- რეგულირების ტიპი: დახრა და შემობრუნება.
- დახრის კუთხე ზემოთ/ქვემოთ: 0/15°.
- შემობრუნების კუთხე: 180°.
- VESA სტანდარტები: 75 × 75, 100 × 100; 200 × 100; 200 × 200.
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო.
- კომპლექტაცია: ტელევიზორის საკიდი, სამაგრების ნაკრები, მომხმარებლის სახელმძღვანელო.

მონტაჟის, შენახვის, ტრანსპორტირების (გადაზიდვის), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- ნაწარმის მონტაჟის წესები და პირობები აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოში, განყოფილებაში „მონტაჟის ინსტრუქცია".
- ნაწარმის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, გათბობადი შენობა-ნაგებობებში, დამამზადებელთან და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურის 10 °C-დან 25 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის არაუმეტეს 80%-ის პირობებში. შენობებში არ უნდა იყოს აგრესიული მინარევები (მჟავების, ტუტეების ორთქლი), რომლებიც იწვევენ კოროზიას.
- ნაწარმის ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- ნაწარმი მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას, დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობისა და ცეცხლის ზემოქმედებისგან და ა.შ.
- ნაწარმის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ნაწარმის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს ან გაატანეთ ნაწარმი უტილიზაციაზე.
- წინამდებარე ნაწარმის უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ნორმებისა და ნარჩენების გადამუშავების წესების შესაბამისად. ნაწარმის სწორი უტილიზაციის უზრუნველყოფით თქვენ შეუწყობთ ხელს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული პოტენციური ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეულიყო ნარჩენების უკონტროლო გაფრქვევის შედეგად, ასევე მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

დამატებითი ინფორმაცია

დამამზადებელი: ცზეიან გიბონ ჰარდვეა კო., ლტდ.

№59, ხუნჯოუვეი, სოფ. პაიბიანი, ფუტიანი, ცზედუნის რაიონი, ქ. ცზეიანი, გუანდუნის პროვინცია, ჩინეთი.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი: შპს არგო ელექტრონიქს

ს/კ 405791674

საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული

ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

საგარანტიო ვადა: 12 თვე.

ექსპლუატაციის ვადა: 24 თვე.

ნაწარმი დამზადებულია (თვე.წელი):